



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება №23/67

2017 წლის 31 ოქტომბერი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შპს „საქართველოს ფოსტი“ (ს/კ 203836233 - სახელმწიფოს წილი - 100%) გენერალურმა დირექტორის მოადგილემ 2017 წლის 08 აგვისტოს №POST 17 00016147 წერილით მომართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (№32-ის მიმდებარედ) ჯიხურის განთავსების მიზნით 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემა.

ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილების შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 02 ოქტომბრის №5/50824 წერილით, ხოლო ხსენებული მიწის ნაკვეთი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 09 ოქტომბრის №778 ბრძანების საფუძველზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (მერის მოვალეობის შემსრულებელი) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

გადაწყვეტილებას - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2017 წლის 23 აგვისტოს №12/896 წერილში აღნიშნულია, რომ ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისა და მასზე შპს „საქართველოს ფოსტის“ ჯიხურის განთავსების საკითხი განხილულ იქნა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის სხდომაზე, სადაც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტს“ (გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 17 აგვისტოს №106 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნის (№07/130 20.10.2017) თანახმად ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) საბაზრო ღირებულებაა 400.00 (ოთხასი) ლარი.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა

### **აღნიშნულიდან გამომდინარე:**

#### **მუხლი 1.**

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 5 (ხუთი) წლის ვადით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადასცეს შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/კ 203836233).

**მუხლი 2.**

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 4.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.708) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ (ს/კ 203836233) სარგებლობაში გადაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობა (საიჯარო ქირა) განსაზღვროს 700.00 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 3.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია 2017 წლის 31 ოქტომბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია